



დასრულებულობისა და გახსნილობის მაკონსტრუირებელი
სტრუქტურების ურთიერთმიმართების ინტერპრეტაცია მარტინ
ჰაიდეგერის ლექციის "დროის ცნებისა" და ნაშრომის "ყოფიერებისა და
დროის" მიხედვით

ანა ლომაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლუკა ნახუცრიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის

დეკანს, ბ-ნ გიორგი გვალას

ამავე ფაკულტეტის მაგისტრანტის

ანა ლომაძის

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ, აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ლომაძე

21.06.2016

აბსტრაქტი

ნაშრომში ინტერპრეტირებულია მარტინ ჰაიდეგერის ცნება, დასრულებულობა, გახსნილობის მაკონსტრუირებელი სტრუქტურების (განწყობილება, გაგება, მეტყველება და ჩავარდნა) ფონზე. პირველ თავში განხილულია თავად დასრულებულობა, როგორც განწყობილების ერთ-ერთი მოდუსი, რომელიც მუნყოფნას განაწყობს განსაკუთრებულობის, განსხვავებულობის შემნარჩუნებელი გათანაბრებისადმი; ამ განწყობილებაში ის, რაც ფაქტობრიობაში რჩება განსაკუთრებული, მნიშვნელობით უთანაბრდება თავისგან განსხვავებულებს, რადგან მუნყოფნისათვის მნიშვნელობის მქონე ხდება ის, რაც ყველა ყოფიერს „აქვს“: ყოფნა. მეორე თავი ეხება გაგებას, რომელიც დასრულებულობის განწყობილებას გაიგებს და, შესაბამისად, ყველა ყოფიერს, როგორც ყოფნის უნარით დაჯილდოებულებს, თავისთავად მნიშვნელობას ანიჭებს: ყოველ ჯერზე, როცა უნდა რამე გაიგოს, ყოფიერებს უბრუნდება და მათ უსვამს კითხვებს. მესამე თავი დასრულებულობის გამგები მეტყველების მნიშვნელობის გარშემო სვამს კითხვებს. ბოლო თავი დასრულებულობის გაგებისა და გამოთქმისათვის საჭირო გზების გამოსაძებნად ჩავარდნის მახასიათებლების შესაძლო სარგებლიანობასა და საფრთხეზე მსჯელობას ეთმობა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დასრულებულობა, განწყობილება, გაგება, მეტყველება, ჩავარდნა.

Abstract

This paper discusses Martin Heidegger's concept the past (Vorbei) and its connection with the coherent structures of disclosedness (disposition, understanding, discourse and falling). The first chapter analyzes the past as a disposition's mode. It disposes Dasein to equality in such a way that this equality preserves in itself individuation too; In this disposition an ontic being, which preserves its factual individuality, equals itself to other ontic beings by its meaning, because now being _ the feature of every ontic entity _ is meaningful for Dasein. The second chapter represents the understanding, which understands the disposition of the past. For such sort of understanding, every ontic being, as they are gifted with the ability to be, has its meaning in itself; So, every time when understanding wants to understand something, is asks ontic beings its questions. The third chapter deals with the discourse of understanding the past. The last chapter discusses how features of falling can be useful, but also dangerous for finding the ways to understand and articulate the past.

Key words: past (Vorbei), disposition, understanding, discourse, falling.